

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ”

#### *ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ*

##### *ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:*

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა გამოწვეულია „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მომზადებით. აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – მერიის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს – რწმუნებულებს დაეკისრებათ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის პირის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება. ამდენად ნორმატიული აქტების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია შესაბამისი ცვლილების შეტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც.

##### *ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:*

კანონპროექტის მიზანია საქართველოს კანონით „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებზე – გამგეობის (მერიის) რწმუნებულებზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის თავიდან აცილება.

##### *ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:*

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით იცვლება 185<sup>1</sup> მუხლის რედაქცია და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის პირის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას, როგორც სოფლის, თემის და დაბის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულზე, ასევე ქალაქის მერიის რწმუნებულზეც.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღების შედეგად გამგეობის (მერიის) რწმუნებულის მიერ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრება ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

**ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

*დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები*

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

ასეთი არ არსებობს.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი:*

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:*

კანონპროექტის ინიციატორები არაინ საქართველოს პარლამენტის წევრები – ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.